საქართველოს გენერალური პროკურორის

ბრძანება №032

2025 წლის 30 სექტემბერი

ქ. თბილისი

,,საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 6 მაისის №026 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 6 მაისის №026 ბრძანებით (ვებგვერდი, 06/05/2020, სარეგისტრაციო კოდი: 110060000.70.082.016039) დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ლ) ყოველი წლის იანვარში გენერალურ პროკურორს წარუდგენს გასული წლის ანგარიშს ადმინისტრაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე წინადადებებს მომავალში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებების თაობაზე“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გენერალური
პროკურორი **გიორგი გვარაკიძე**